ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვების მიზნით

აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების საფუძველზე და არეგულირებს აპლიკანტების შერჩევას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის უფლებას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ჩარიცხვის მიზნით.

მუხლი 2. დუალურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევის პროცედურები

1. კოლეჯი და საწარმო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ავრცელებს ინფორმაციას სწავლებისა და შესაბამისი პირობების თაობაზე და იძიებს აპლიკანტებს;

2. აპლიკანტი მიმართავს კოლეჯს/საწარმოს და წარუდგენს ბიოგრაფიულ ინფორმაციას (საცხოვრებელი ადგილი, საშუალო განათლება და ა.შ.), რის შემდეგაც რეგისტრირდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. კოლეჯი და საწარმოები შერჩევის მიზნით ერთობლივად (ხელმძღვანელობა და ინსტრუქტორები) ატარებენ კონკურსს/გასაუბრებას აპლიკანტებთან;

4. კონკურსის/გასაუბრებისას ივსება შეფასების ფორმა და ჯამდება რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი მოთხოვნებს (კრიტერიუმებს);

5. გასაუბრება ყველა აპლიკანტთან ერთნაირი სქემით მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება. შეფასება ხორციელდება შეფასების ფორმის გამოყენებით (დანართი N1).

6. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია კონკურსის შედეგები ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე გაუგზავნოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. კონკურსის შედეგების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ინფორმაცია მიეწოდება ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებულია:

   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სპეციალიზაციის კოდი;
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და ინფორმაცია მისი განხორციელების თავისებურების შესახებ;
   - აპლიკანტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;
   - კონკურსზე მიღებული ქულა;
   - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

7. დადებით შეფასებად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს საერთო ქულების რაოდენობის მინიმუმ 51%-ს (14 ქულას).

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

1. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ფორმა და პირობები

1. კონკურსის ფორმაა გასაუბრება;

2. კონკურსს ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;

3. კონკურსის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

4. გასაუბრება ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში პარტნიორებთან შეთანხმებით;

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.

2. საკონკურსო კომისია დაკომპლექტდება:

   ა) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისაგან/წარმომადგენლებისაგან;

   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელისაგან/წარმომადგენლებისაგან.

3. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 27 ქულიანი სისტემით.

4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი N1) და შედეგები შეაქვს აპლიკანტთა ინდივიდუალური შეფასების ფორმაში (დანართი N2).

5. გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიას თითოეული აპლიკანტის შეფასების შედეგების შესახებ ქულები შეაქვს აპლიკანტთა გასაუბრების საბოლოო შეფასების ფორმაში (დანართი N3).

6. კონკურსის საფუძველზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 14 ქულა.

7. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ მაქსიმუმ 10 აპლიკანტის გამოვლენა, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა და უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში.

8. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის შედეგები აისახება შესაბამისი სხდომის ოქმში;

9. კონკურსის შედეგების შესახებ მართვის სისტემას ინფორმაცია მიეწოდება ელექტრონული ფორმით კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად;

მუხლი 6. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა და კოლეჯის უფლება- მოვალეობები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესს/ შეფასების კრიტერიუმებს;

2. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე/ პროფესიულ მოსინჯვაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა/პასპორტი).

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე არ დაიშვება.

4. კონკურსის დღეს კონკურსზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს კონკურსის სხვა დღეს ჩატარება, გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

დანართი N1

აპლიკანტის შეფასების ფორმა

საწარმო: ----------

შემფასებელი: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

აპლიკანტთან გასაუბრების შეფასების ფურცელი						
N	აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდი	ქულა			
			3 ძალიან კარგი	2 კარგი	1 დამაკმაყოფილებელი	0 არადამაკმაყ
1	საკუთარი თავის წარდგენა/კომუნიკაცია	პრეზენტაცია				
2	თავდაჯერებულობა	პრეზენტაცია, დისკუსია				
3	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	დისკუსია/ გასაუბრება				
4	მზაობა ფიზიკური შრომისთვის	გასაუბრება				
5	გეოგრაფიული მდებარეობა	გასაუბრება				
6	პუნქტუალობა	გამოცხადება, თვითშეფასება				
7	თავაზიანობა, პოზიტიურობა	გასაუბრება				
8	სწავლისა და პროფესიული განვითარებისთვის მზაობა	გასაუბრება				
9	პროფესიული ცოდნა და/ან გამოცდილება					

საბოლოო ქულა: _____

თარიღი: _____20 წ. ხელმოწერა: _____

დანართი N2

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

კომისიის წევრის მიერ აპლიკანტის ინდივიდუალური შეფასების ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

_____

№	აპლიკანტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საკუთარი თავის წარდგენა/კომუნიკაცია	თავდაჯერებულობა	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	მზაობა ფიზიკური შრომისთვის	გეოგრაფიული მდებარეობა	პუნქტუალობა	თავაზიანობა, პოზიტიურობა	სწავლისა და პროფესიული განვითარებისთვის მზაობა	სწავლისა და პროფესიული განვითარებისთვის მზაობა	ქულათა ჯამი	რეიტინგი
1													
2													
3													
4													
5													
6													
7													
8													
9													
10													
11													
12													

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - **3** ქულა) ძალიან კარგი **(3** ქულა)
კარგი **(2** ქულა)
დამაკმაყოფილებელი **(1** ქულა)
არადამაკმაყოფილებელი **(0** ქულა)

კომისიის წევრის სახელი და გვარი ხელმოწერა

დანართი N3

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

კომისიის წევრთა მიერ აპლიკანტთა საერთო შეფასების ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

_____

_____

N	აპლიკანტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	მიღებული საბოლოო ქულა	შენიშვნა
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				

კომისიის თავმჯდომარე : გვარი, სახელი _____ ხელმოწერა

კომისიის წევრები: გვარი, სახელი _____ ხელმოწერა